BAU International University Batumi

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-სა და სსიპ – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ.ბათუმი **30 ივნისი, 2025 წ.**

პრეამბულა

მემორანდუმის მონაწილე მხარეები, მოქმედებენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპების საფუძველზე, ამასთან, იაზრებენ განათლების ადმინისტრირების სფეროში კვალიფიციური კადრის ჩამოყალიბებისათვის საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში, თეორიულ ცოდნასთან ერთად, სტუდენტებისათვის პრაქტიკული გამოცდილების შეძენის, საგანმანათლებლო ინსტიტუციის საქმიანობის ადგილზე დაკვირვებით ათვისების, განათლების სფეროში ორგანიზაციული გამოწვევების ინფორმაციის მიწოდებისა და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობას, თანხმდებიან აკადემიური, კვლევითი, პრაქტიკული და ორგანიზაციული ხასიათის ურთიერთთანამშრომ-ლობაზე.

მუხლი 1. მემორანდუმის მხარეები

ერთი მხრივ, შ.პ.ს. „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ (ს/კ 445434888) (შემდეგში - „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის **თეა მიქელაძის** მიერ, ხოლო მეორე მხრივ, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ 245628496) (შემდეგში - „საგანმანათლებლო დაწესებულება“) წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **მამუკა ალაფიშვილის** მიერ, ერთად წოდებული როგორც „მხარეები“.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის **განათლების ადმინისტრირების** პროგრამის სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათი პრაქტიკული და ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე პროფესიული პრაქტიკის ან/და სამაგისტრო პროექტის შესრულების უზრუნველყოფით, სფეროს თანამედროვე მიღწევებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და მხარეთა საერთო ინტერესში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა.

მუხლი 3. მემორანდუმის ამოცანები

წინამდებარე მიზნებიდან გამომდინარე, მემორანდუმის ამოცანებია:

3.1 სტუდენტთა პრაქტიკის/სამაგისტრო პროექტის განხორციელება ამ მემორანდუმით, უნივერსიტეტის სილაბუსითა და მისი დანართით გათვალისწინებული პირობებითა და მოცულობით და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის სხვა აქტივობების, პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება;

3.2 სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობა;

3.3 სფეროს აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების, სეზონური სკოლების, გადამზადების პროგრამების, ვორქშოპებისა და ტრენინგების ორგანიზება;

3.4 მხარეთა საერთო ინტერესებში შემავალი საკითხების სამეცნიერო კვლევა, კვლევის შედეგების შესახებ ერთობლივი პუბლიკაციების, სასწავლო მასალებისა და სხვა სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება;

3.5 საბიბლიოთეკო რესურსებისა და თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების რეალიზებისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა;

3.6 ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსების გაზიარება;

3.7 მხარეთა ცნობადობისა და მათ მიერ შეთავაზებული პროდუქტების/მომსახურებების პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

3.8 სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 მხარეებს უფლება აქვთ, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოიყენონ მეორე მხარის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, ადამიანური და ტექნიკური რესურსები;

4.2 მხარეებს უფლება აქვთ, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე, გამოიყენონ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაშრომები და გამოცემები, მხარეთა ინტელექტუალური საკუთრების უფლების განუხრელი დაცვით.

4.3 მხარეები იღებენ ვალდებულებას მემორანდუმით გათვალისწინებული აქტივობები განახორციელონ ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე დაყრდნობით.

4.4 მხარეები იღებენ ვალდებულებას მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ნებისმიერი ისეთი პირობა, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, წინასწარ შეუთანხმონ ერთმანეთს.

4.5 მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისას, თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას შესაბამის ორგანიზაციაში დადგენილი ეთიკის, საზოგადოებრივი წესრიგის, შრომის შინაგანაწესის, კონფიდენციალობის პოლიტიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ნორმები;

4.6 მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის სახელსა და რეპუტაციას, რა მიზნითაც, დაუშვებელია გადაუმოწმებელი ან/და ყალბი ინფორმაციის გავრცელება ან/და ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მეორე მხარის რეპუტაციას.

4.7 მხარეთა მიერ მესამე პირებთან ურთიერთობამ, მესამე პირებთან მსგავსი შინაარსის შეთანხმების დადების ჩათვლით, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ამ მემორანდუმით და მისი დანართით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას ან შეაფერხოს, შეამციროს ან შეცვალოს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 5. სამაგისტრო პროექტის განხორციელება

5.1 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე, სტუდენტთა პრაქტიკის (სამაგისტრო პროექტის) განხორციელების ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულება უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სტუდენტთა შეთანხმებულ რაოდენობას უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის გავლისა და სამაგისტრო პროექტისთვის ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობებით, რაც გულისხმობს სტუდენტთა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაშვებასა და მათ მიერ პროექტის შესასრულებლად აუცილებელი სამუშაოს გაწევის მხარდაჭერას, კერძოდ:

- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ინფორმაციის მიწოდებას, ხელმძღვანელი, ოპერაციული თუ სასწავლო რგოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუების ფორმით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვების შესაძლებლობის უზრუნველყოფას;
- უნივერსიტეტისთვის უკუკავშირის მიწოდებას სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნების შესრულების, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის, სამუშაოს შესრულების ეფექტურობის შესახებ;
- სტუდენტთა პრაქტიკის პროექტის შეფასებაში მონაწილეობას.

5.2 პრაქტიკის შემადგენელი კომპონენტები განისაზღვრება შესაბამისი კურსის სილაბუსით, რომელიც დანართად დაერთვის წინამდებარე შეთანხმებას და რომლის ცვლილების შემთხვევაში, ცვლილების შესახებ წინასწარ ეცნობება საგანმანათლებლო დაწესებულებას.

5.3 პრაქტიკის ფარგლებში, საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები და სტუდენტთა სამიზნე რიცხობრივი რაოდენობა, შესაბამისი მიმართულებების გათვალისწინებით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ყოველსემესტრულად და აისახება მემორანდუმის დანართში.

5.4 პრაქტიკის ფარგლებში, სტუდენტთა შეფასებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის პერსონალი, ამასთან საგანმანათლებლო დაწესებულება აძლევს უნივერსიტეტს უკუკავშირს სტუდენტის მიერ საქმიანობაში ჩართულობის, ცოდნის დემონისტრირების, პრობლემების იდენტიფიცირების და პროფესიული ეთიკის შესახებ.

5.5 პრაქტიკის კოორდინაციას უზრუნველყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც ვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულებას მიაწოდოს პრაქტიკის კოორდინაციისთვის აუცილებელი ინფორმაცია, გააკონტროლოს სტუდენტთა შეფასებისა და პრაქტიკის აღრიცხვის ფორმის სათანადო წესით განხორციელება.

5.6 პრაქტიკის დაწყებამდე საგანმანათლებლო დაწესებულება საკუთარი ინიციატივით თუ უნივერსიტეტთან შეთანხმებით, განსაზღვრავს მისი საქმიანობის მიმართულებებს, რომელშიც გეგმავს სტუდენტი-პრაქტიკანტების ჩართვას.

5.7 უნივერსიტეტი ვალდებულია, პრაქტიკის განხორციელებამდე, არანაკლებ 2 კვირით ადრე აცნობოს საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტების რაოდენობა

და ვინაობა, ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არჩეულ განყოფილებებში სტუდენტთა დაშვება მოხდება მხარეთა მიერ შეთანხმებული რაოდენობით.

5.8 მხარეები იღებენ ვალდებულებას, პრაქტიკის განხორციელებისას, სტუდენტებს მიაწოდონ ინფორმაცია ორგანიზაციაში მოქმედი ეთიკის, საზოგადოებრივი წესრიგის, შრომის შინაგანაწესის, კონფიდენციალობის პოლიტიკის, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების ნორმებისა და ორგანიზაციაში მოქმედი სხვა რეგულაციების შესახებ, ამავდროულად, უზრუნველყონ მათი შესრულების კონტროლი და დარღვევაზე ეფექტიანი რეაგირება.

მუხლი 6. კონფიდენციალურობა

6.1. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო და მეორე მხარისათვის ხელმისაწვდომი გახდა წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ სათანადო ყურადღებითა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცავენ კონფიდენციალურ ინფორმაციას ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებისაგან და წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ დაუშვებენ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემას.

მუხლი 7. ინტელექტუალური საკუთრება

7.1. მხარეები ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ შორის, როგორც ოფიციალურად რეგისტრირებულს, აგრეთვე, არარეგისტრირებულს და არ დაუშვებენ მათ არაკანონიერ ან/და არაკეთილსინდისიერ გამოყენებას.

7.2. მხარეები თანხმდებიან, რომ შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიზნით, მხარეები დამატებით გააფორმებენ შეთანხმებებს.

7.3. მხარეების მიერ ერთობლივი საქმიანობით შექმნილი ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა, ნაშრომი, პუბლიკაცია თუ ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტი წარმოადგენს მხარეთა საერთო ინტელექტუალურ საკუთრებას, თუ დამატებითი შეთანხმებით რაიმე სხვა არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია უვადოდ, ვიდრე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს სურვილს მისი შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით,

რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს.

9.2. დაუძლეველი ძალით გამოწვეულ მოვლენებად მიიჩნევა ისეთი მოვლენები, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა, მათ შორის:

ა) საომარი-სამხედრო მოქმედებები;

ბ) გაფიცვა-ლოკაუტი;

გ) სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და ა.შ.);

დ) კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტები ან ქმედებები, რომლებიც გამორიცხავს მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.3. მხარე, რომელსაც ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის.

9.4. მხარეების მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

მუხლი 10. დავების განხილვა, გამოსაყენებელი სამართალი და განსჯადი სასამართლო

10.1. მხარეები, ნებისმიერი უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, შეეცდებიან დავის 5 (ხუთი) დღიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას, ხოლო მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

10.2. დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 11. მოქმედების ვადა

11.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ამოქმედდება საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების მომენტიდან.

11.2. მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით, და მოქმედებს მხარის მიერ მისი შეწყვეტის მოთხოვნამდე.

11.3. მემორანდუმი შეწყვეტის მოთხოვნის წამოყენების შემთხვევაში, მემორანდუმი შეწყდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ჯგუფ(ებ)ის მიერ პრაქტიკის დასრულების მომენტიდან.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.2. წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოადგენს კონფიდენციალურს და მხარეები უფლებამოსილნი არიან მესამე პირს როგორც ზეპირად, ასევე, წერილობით დაუდასტურონ მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია.

12.3. მხარეებმა შეიძლება განიხილონ მათი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობის სხვა ნებისმიერი ფორმა და მიმართულება, რომელიც არ არის ასახული მემორანდუმში თუმცა ემსახურება მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

12.4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი იდენტური და თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარის სახით, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

ორგანიზაციის დასახელება	შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“	სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	445434888	245628496
იურიდიული მისამართი:	ფრიდონ ხალვაშის გამზირი 237, ბათუმი, საქართველო	ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32 ბათუმი, საქართველო
ტელ:	+995 (0) 422 21 25 35	+995 (0) 422 27 98 95
ელ.ფოსტა:	info@bauinternational.edu.ge	info@batu.edu.ge
საბანკო რეკვიზიტები:	GE12IS0000647311875006	TRESGE22 708897519
	რექტორი თეა მიქელაძე	რექტორის მ/შ მამუკა ალაფიშვილი

BAU International University Batumi

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი 1

პრაქტიკის გეგმა 2026 – 2027 სასწავლო წელი

	დეპარტამენტის/ დასახელება	ჯგუფის რაოდენობა	პროექტის პერიოდი	სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში	კოორდინატორი უნივერსიტეტის მხრიდან	კოორდინატორი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან
1						
2						
3						
4						
5						